ქართული

როგორც მეორე ენა

7

ნათია მანია, გიორგი ჭაუჭიძე,
ზეინაბ ბერაძე, ნონა არევაძე-კოტორაშვილი,
ნონა მიქელაძე, ია რობაქიძე

სულაკაურის
გამომცემლობა

მოსწავლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2021 წელს.

სარჩევი

თავი 1	არდადეგების შემდეგ	4
თავი 2	ბავშვური სამყარო	10
თავი 3	ინდიელების საჩუქარი	22
თავი 4	ყველაზე საინტერესო მოგზაურობა	28
თავი 5	ზამთრის კურორტები	36
თავი 6	დიდი და პატარა გამოგონებები	46
თავი 7	მე - მკითხველი და მწერალი	56
თავი 8	დედის დღე და მამის დღე	62
თავი 9	ეტიკეტი	72
თავი 10	ადამიანი და ენა	78

თავი 1 არდადეგების შემდეგ

დავალება 1. წაიკითხე ხმამაღლა:

სკოლაში წასვლის წინ

ქეთევან კვიტატიანი

მაგიდაზე ალაგია პენალი და რვეულები,
ზედ ბავშვები ახატია – ცოტა გადარეულები.
საყიდლების გრძელი სია, თითქმის გადახაზული,
ერთ ფურცელზე ძლივს ეტევა, ასამდეა ასული...
ჭრელაჭრულა ფეხსაცმელი – რომ შეხედავ, ბრდღვიალებს,
კაბა მუქი კია, მაგრამ – ტრიალის დროს ფრიალებს.
ეს ქურთუკიც ახალია, ბაფთა – ცოტა ძველია...
ერთმანეთზე ალაგია და სექტემბერს ელიან.

დავალება 2. **უპასუხე კითხვებს:**

1. როგორ ფიქრობ, რომელი დღისთვისაა გამზადებული ლექსში აღწერილი ნივთები?
2. რატომ ჰქვია ლექსს „სკოლაში წასვლის წინ“?
3. დააკვირდი ნახატს და გამოთქვი შენი მოსაზრება: რას ნიშნავს „ბრდღვიალებს“ და „ფრიალებს“?
4. ფეხსაცმლის გარდა კიდევ რა არის ნახატზე ჭრელაჭრელა?
5. შენი აზრით, ლექსში რომელი თვეა ასახული?
6. შენ რამდენი ხნით ადრე ემზადები ხოლმე სკოლისთვის?
7. სკოლაში წასვლის წინ შენც წერ საყიდლების სიას?

სავარჯიშოები 3-5 შეასრულე რვეულში.

დავალება 6. **წაიკითხე და დაასახელე დახატული საგნები:**

გრამატიკა

დავალება 7. **გრამატიკულ ბლოკში ჩასმულ ნახატებს დაუსვი კითხვები „ვინ?“ და „რა?“ (მაგალითად: ჩანთა – რა? მასწავლებელი – ვინ?)**

სავარჯიშო 8 შეასრულე რვეულში.

დავალება 9. წაიკითხე ტექსტი და შეასრულე მითითებები:

არდადეგების შემდეგ

პირველი დღე ყოველთვის განსხვავებულია – სკოლის სხვა დღეებს არ ჰგავს. თბილა და მზიანი ამინდია. უკვე მეშვიდე კლასში ვარ და წლის პირველ სასწავლო დღეს წვიმა ან ძლიერი ქარი მე არ მახსოვს.

არდადეგების შემდეგ პირველად ვხედავ მასწავლებლებს და **თანაკლასელებს**. ყველა იღიმება. ბავშვები რამდენიმე სანტიმეტრით გაზრდილები და გარუჯულები არიან. ყველას ლამაზი **ტანსაცმელი** აცვია: **ფერად-ფერადი** მაისურები, ქათქათა თეთრი პერანგები, გაშლილი **ბოლოკაბები** და კოხტა კაბები, ჯინსის შარვლები, **ჭრელაჭრელა** სანდლები, კედები, ბოტასები და ტუფლები. ჩანთები მსუბუქია – შიგ მხოლოდ რვეულები, კალმები და ფანქრები აწყვია. ჯერ არავის არ აქვს წიგნები.

ეზო სავსეა აღელვებული, ცოტათი შეშინებული პირველკლასელებით და მათი ოჯახის წევრებით. **პირველკლასელები დედ-მამასთან**, **ბებია-ბაბუასთან** ან **და-ძმასთან** ერთად მოდიან. ბევრს ხელში თაიგული უჭირავს. ზოგს გვერდზე გადაყოფილი მოკლე თმა აქვს, ზოგს – გრძელი და გაშლილი, ზოგს ნაწნავები აქვს და ზოგს – კიკინები. ზურგზე ყველას ფერადი და ნახატებიანი **ზურგჩანთა** ჰკიდია. ზოგ ზურგჩანთას ძაღლი ან კატა ახატია, ზოგს – პეპლები და ჭიამაიები, ზოგს – მულტფილმის პერსონაჟი ან მანქანა.

დირექტორი ყველას ესალმება. მასწავლებლები ახალ მოსწავლეებს ეცნობიან. მოსწავლეებიც ეცნობიან ახალ მასწავლებლებს.

პირველ დღეს გაკვეთილებიც განსხვავებულია. მასწავლებელი არავის ეკითხება გაკვეთილს და არავის უმოწმებს საშინაო დავალებას. პირველ დღეს არაფერს ვსწავლობთ ხოლმე. იშვიათად ვწერთ. ბევრს ვლაპარაკობთ, ზაფხულის ამბებს ვყვებით, ვუსმენთ ერთმანეთს და მასწავლებლებს. ყველა კარგ გუნებაზეა. დაღლილი და გაბრაზებული სახე არავის აქვს. პირველ დღეს უფრო ადრე ვბრუნდებით ხოლმე სახლში.

1. დააკვირდი აბზაცებს. შენი აზრით, რის მიხედვით გამოყვეს ისინი?
2. შეგიძლია, აბზაცები დაასათაურო?

   1-ელი აბზაცი – ამინდი.

   მე-2 აბზაცი – ?

   მე-3 აბზაცი – ?

   მე-4 აბზაცი – ?

   მე-5 აბზაცი – ?

3. იპოვე ხაზგასმული სიტყვები ილუსტრაციაზე. რა აკლია (რა არ არის) ნახატზე?

4. უპასუხე შეკითხვებს:

ა. ეთანხმები თუ არა ტექსტის ავტორს? – სკოლის პირველ დღეს თქვენს სოფელშიც (ქალაქშიც) ყოველთვის კარგი ამინდია?

ბ. როგორია პირველი სასწავლო დღე თქვენს სკოლაში? რით განსხვავდება ის სხვა სასწავლო დღეებისგან? ლაპარაკისას გამოიყენე კონსტრუქცია: „პირველი დღე სკოლის სხვა დღეებისგან იმით განსხვავდება, რომ .....“

გ. შენ როგორი ვარცხნილობით დადიხარ სკოლაში?

დ. გრძელი თმა უფრო მოგწონს თუ მოკლე? შეკრული თუ გაშლილი?

ე. როგორი ტანსაცმელი/ფეხსაცმელი მოგწონს?

ვ. რა ტანსაცმელი/ფეხსაცმელი გაცვია ხოლმე სკოლაში?

ზ. თქვენს სკოლაში მოსწავლეებს ფორმა აცვიათ თუ ყველა განსხვავებულ ტანსაცმელს იცვამს?

თ. შენ განსხვავებული ტანსაცმელი გირჩევნია თუ სკოლის ფორმა? რატომ?

სავარჯიშოები 10–11 შეასრულე რვეულში.

დავალება 12. წაიკითხე გრამატიკული ბლოკი და შეასრულე მითითება: იპოვე ტექსტში („არდადეგების შემდეგ“, გვ. 6) კომპოზიტები და თქვი, რამდენ საგანს აღნიშნავს თითოეული მათგანი?

გრამატიკა

ზოგი სიტყვა ორი ფუძისგან შედგება. ისინი ორი სიტყვის შეერთებით მიიღება. მაგალითად: დედ-მამა (დედ(ა), მამა); პირველკლასელი (პირველ(ი), კლასელი).

ასეთ სიტყვას **კომპოზიტი** ჰქვია. კომპოზიტი იწერება ერთად ან დეფისით.

ზოგი **კომპოზიტი** ერთ საგანს აღნიშნავს, მაგალითად: **ზურგჩანთა**; ზოგი – ორს, მაგალითად: **და-ძმა**.

სავარჯიშო 13 შეასრულე რვეულში.

დავალება 14. წაიკითხე კომპოზიტები და უპასუხე, როდის იწერება დეფისი?

გრამატიკა

დეფისიანი კომპოზიტები:

დედა და მამა → **დედ-მამა**
ბებია და ბაბუა → **ბებია-ბაბუა**
და და ძმა → **და-ძმა**
ცოლი და ქმარი → **ცოლ-ქმარი**
დედა და შვილი → **დედა-შვილი**
მამა და შვილი → **მამა-შვილი**

შავი 2-ჯერ → **შავ-შავი**
ქუჩა 2-ჯერ → **ქუჩა-ქუჩა**
ორი 2-ჯერ → **ორ-ორი**
ათი 2-ჯერ → **ათ-ათი**

უდეფისო კომპოზიტები:

ჭრელაჭრელა
ახლომახლო
პირველკლასელი
მეორეკლასელი
მესამეკლასელი
ზურგჩანთა
ტანსაცმელი
ბოლოკაბა
ოთხსართულიანი
სამოთახიანი
ორფანჯრიანი

სავარჯიშოები 15-20 შეასრულე რვეულში.

დავალება 21. წაიკითხე გრამატიკული ბლოკი და უპასუხე შეკითხვებს:

გრამატიკა

ეს კაბა
აი, ეს კაბა ძალიან მომწონს.

ეგ თმა
შეიჭერი ეგ თმა.

ის ფორმა
როგორ მომწონს ის ფორმა.

1. თქვი მშობლიურ ენაზე, რას ნიშნავს სიტყვები: **ეს, ის, ეგ**?

2. ეს და **ეგ** შენს ენაში განსხვავებული სიტყვებია თუ ერთი და იგივე?

3. დააკვირდი:

ეს კაბა, *მაგრამ:*	**ეგ** კაბა, *მაგრამ:*	**ის** კაბა, *მაგრამ:*
ამ კაბას.	**მაგ** კაბას	**ამ** კაბას.

სავარჯიშოები 22-37 შეასრულე რვეულში.

თავი 2 ბავშვური სამყარო

დავალება 1. წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს:

ოგი პულმანი პირველად მიდის სკოლაში

ოგი პულმანი ამერიკელი ბიჭია. ის ათი წლისაა და კოსმონავტობაზე ოცნებობს.

ოგი უკვე მეხუთე კლასშია, მაგრამ წელს პირველად მიდის სკოლაში. მანამდე ოგი სახლში სწავლობდა. ყველა საგანს დედა ასწავლიდა. ოგი ვერ მიდიოდა სკოლაში, რადგან ხშირად ავადმყოფობდა და დიდ დროს ატარებდა საავადმყოფოებში. ოგი ძალიან ძლიერი და მამაცია. მას დაბადებიდან 27 ოპერაცია აქვს გაკეთებული.

ოგი ბეჯითი და ჭკვიანი ბიჭია. ის ბევრს მეცადინეობდა შინ. კითხულობდა წიგნებს. წერდა მათემატიკას, ინგლისურსა და ბუნებას. მეხუთე კლასამდე დედა უმოწმებდა დავალებებს და ეკითხებოდა გაკვეთილებს.

ოგი ყველა საგანს კარგად სწავლობს, მაგრამ ყველაზე კარგად ბუნება იცის. ბუნება მისი საყვარელი საგანია.

ოგი პულმანი პერსონაჟია ამერიკული ფილმისა – „საოცრება“. ფილმში ის თავის ამბავს ჰყვება.

უყურე ფილმ „საოცრებას“. გაიცანი ოგი და შეავსე მისი ანკეტა სამუშაო რვეულში.

სახელი: ოგი
გვარი: _____
ასაკი: _____
საცხოვრებელი ადგილი: ამერიკის შეერთებული შტატები, ნიუ-იორკი, ზედა მანჰეტენი
სკოლა: ბიჩერის სკოლა
კლასი: _____
ოგის თვისებები: მამაცი, _____, _____ და _____
საყვარელი საგანი: _____
საყვარელი კომპიუტერული თამაში: _____
_____
საყვარელი დღესასწაული: _____
საყვარელი ფილმი: _____
დამატებითი ინფორმაცია: _____
_____

შეკითხვები:

1. ვის შესახებაა ეს ტექსტი?
2. ნანახი გაქვს ფილმი „საოცრება“?
3. რა დაგამახსოვრდა ამ ტექსტიდან?

დავალება 2. წაიკითხე გრამატიკული ბლოკი და უპასუხე შეკითხვებს.

გრამატიკა

აწმყო	უწყვეტელი	აწმყო	უწყვეტელი
ის მიდის	ის მიდიოდა	ის სწავლობს	ის სწავლობდა
ის იღიმება	ის იღიმებოდა	ის ჰგავს	ის ჰგავდა
ის ესალმება	ის ესალმებოდა	ის მეცადინეობს	ის მეცადინეობდა
ის ეცნობა	ის ეცნობოდა	ის უმოწმებს	ის უმოწმებდა

1. რომელ დროს გამოხატავს აწმყოს მწკრივი?
2. რომელ დროს გამოხატავს უწყვეტელი?
3. რა დაბოლოება აქვს ზმნებს უწყვეტელში?

დავალება 3. წაიკითხე გრამატიკული ბლოკი და შეასრულე მითითებები.

გრამატიკა

გაიხსენე:

- სახელობითი: **იგი (ის)**
  იგი ამერიკელი ბიჭია.
- მოთხრობითი: **მან**
  მან ყველაზე კარგად ბუნება იცის.
- მიცემითი: **მას**
  მას 27 ოპერაცია აქვს გაკეთებული.
- სახელობითი ბრუნვა: **ოგი.**
  ოგი ამერიკელი ბიჭია.
- მოთხრობითი ბრუნვა: **ოგიმ.**
  ოგიმ ყველაზე კარგად ბუნება იცის.
- მიცემითი ბრუნვა: **ოგის.**
  ოგის 27 ოპერაცია აქვს გაკეთებული.

ყურადღებით წაიკითხე წინადადებები და შეასრულე დავალება ზეპირად.

1. ოგი პირველად მიდის სკოლაში. — მანამდე ის ვერ მიდიოდა სკოლაში.
2. დედაჩემი ლამაზად იღიმება — გუშინ ის მთელი დღე იღიმებოდა.
3. დირექტორი ესალმება ყველას. — დირექტორი ყველას ესალმებოდა.
4. მასწავლებელი ეცნობა მოსწავლეებს. — მასწავლებელი ერთი საათი ეცნობოდა მოსწავლეებს.

5. მე ათას რამეს ვეკითხები მამას.	პატარა რომ ვიყავი, მამას ათას რამეს ვეკითხებოდი.
6. ოგი კარგად სწავლობს ყველა საგანს.	მეხუთე კლასამდე ის შინ სწავლობდა გაკვეთილებს.
7. ის ბევრს მეცადინეობს.	ის ყოველთვის ბევრს მეცადინეობდა.
8. ოგი არავის ჰგავს.	ოგი პატარაობაშიც არავის ჰგავდა.
9. მე ვხედავ მზეს.	პირველ კლასში მე კარგად ვხედავდი დაფას სულ ბოლო მერხიდანაც.
10. მე წიგნს ვკითხულობ	პირველ კლასში მე კარგად ვერ ვკითხულობდი წინადადებებს.

1. წინადადებებში სუბიექტი წერია...

ა. წითელი ფერით **ბ.** ლურჯი ფერით

2. წინადადებებში ობიექტი წერია...

ა. წითელი ფერით **ბ.** ლურჯი ფერით

3. აწმყოსა და უწყვეტელში სუბიექტი...

ა. სახელობით ბრუნვაშია **ბ.** მიცემით ბრუნვაშია

4. აწმყოსა და უწყვეტელში ობიექტი...

ა. მიცემით ბრუნვაშია **ბ.** სახელობით ბრუნვაშია

სავარჯიშოები 4–6 შეასრულე რვეულში.

დავალება 7. **უპასუხე შეკითხვებს:**

1. ხშირად უყურებ ხოლმე ფილმებს ინტერნეტით?

2. რომელ საიტებზე ეძებ ფილმებს?

3. როგორ ირჩევ ფილმს?

4. კითხულობ ხოლმე საიტზე მოცემულ ტექსტებს ფილმის შესახებ?

დავალება 8. წაიკითხე ფილმ „საოცრების“ ანოტაცია და შეასრულე მითითებები.

ფილმის ანოტაცია – ფილმის შესახებ მოკლე ინფორმაცია, ფილმის მოკლე შინაარსი. ანოტაცია მოკლედ პასუხობს კითხვაზე: რის შესახებაა ეს ფილმი?

უყურე ონლაინ

ფილმი „საოცრება“

გამოშვების წელი: **2017**

ქვეყანა: **აშშ**

ჟანრი: **დრამა**

ხანგრძლივობა: **1 საათი 53 წუთი**

რეჟისორი: **სტივენ ჩბოსკი**

ბიუჯეტი: **$20,000,000**

შემოსავალი: **$305,940,606**

აღწერა

ავგუსტი (ოგი) ჩვეულებრივი ბიჭია, რომელსაც უყვარს ვიდეოთამაშები, თავის ძაღლთან ერთად სეირნობა, „ვარსკვლავური ომების“ ყურება, დაიკოსთან ჩხუბი და შერიგება. ამავე დროს იგი ჩვეულებრივი ბიჭი არაა, მას არასოდეს უვლია სკოლაში. ოგი გენეტიკური დეფორმაციით დაიბადა – მას უჩვეულო სახე აქვს. ოგიმ 27 ოპერაცია გადაიტანა და მიუხედავად ამისა, მაინც არ ჰგავს სხვა ბავშვებს. ერთ დღეს კი მას სკოლაში წასვლა მოუწევს. თანატოლები ცუდად ექცევიან, მაგრამ ოგი ბოლოს ამტკიცებს, რომ გარეგნობას სულაც არა აქვს მნიშვნელობა.

1. უპასუხე **შეკითხვებს:**

ა. რა გაიგე ახალი ფილმ „საოცრების“ შესახებ ამ ანოტაციიდან?

ბ. შენი აზრით, რისთვის იწერება ანოტაცია?

გ. დაგაინტერესა თუ არა ამ ფილმმა ანოტაციის წაკითხვის მერე?

2. დაასახელე ფილმის გამოშვების თარიღი, ადგილი, რეჟისორი და ხანგრძლივობა.

სავარჯიშოები 9-18 შეასრულე რვეულში.

დავალება 19. წაიკითხე პატარა საინფორმაციო ტექსტები და დააკავშირე ისინი ფოტოებთან:

ოგის სამყარო



ა. ნაყინი

გაყინული ტკბილი საჭმელი, რომელიც უყვარდება ბალუბისგან, ბოკოლადისგან, ბილისგან და სხვ.

ბ. ფერადი ხმლები

მანათობელი (ლაზერული) ხმლები, რომლებითაც იბრძვიან „ვარსკვლავური ომების“ პერსონაჟები. ფერადი მანათობელი ხმლები ფილმში ძალიან ძლიერი და საშიში იარაღია, რომლითაც სიკეთისთვის და მშვიდობისთვის იბრძვიან.

გ. ბუნება

სასკოლო საგანი, რომელიც სწავლობს ბუნებას

დ. იქსბოქსი (Xbox)

სათამაშო კომპიუტერული მოწყობილობა. მსგავსი სათამაშო კომპიუტერული მოწყობილობაა PlayStation.

ე. ოგის ოჯახი

ოგის ჰყავს დედ-მამა და და. მისი დედა მხატვარია, მაგრამ ოგის დაბადების შემდეგ არ მუშაობს. ჯერ ოგის უვლიდა, მერე სწავლაში ეხმარებოდა. ოგის ოჯახში ახლა მხოლოდ მამა მუშაობს. ოგის და – ვია – უფროსკლასელია.

ვ. ჰელოუინი

დღესასწაული, რომელსაც აღნიშნავენ ამერიკაში, დიდ ბრიტანეთში, ირლანდიაში, ავსტრალიაში და სხვა ქვეყნებში. ჰელოუინის დროს იმართება მასკარადი: ადამიანებს აცვიათ კუდიანების, ზომბების, საშინელებათა ფილმების პერსონაჟების, პრინცებისა და პრინცესების, ცნობილი მსახიობებისა და მომღერლების, სხვადასხვა პროფესიის ადამიანების კოსტიუმები. უკეთიათ ნიღბები ან გრიმი. სასაცილო და საშიშ ნიღბებსა და კოსტიუმებში გამოწყობილ ბავშვებს საჩუქრად აძლევენ კანფეტებსა და ტკბილეულს. ქუჩები და სახლები მორთულია მანათობელი გოგრებით, საშიში სახეებით, კანფეტებით და სხვა სიმბოლოებით.

ზ. „ვარსკვლავური ომები“

ამერიკული ფანტასტიკური ფილმები გამოგონილი სამყაროს შესახებ. მოქმედება მიმდინარეობს სხვადასხვა პლანეტაზე და სხვადასხვა გალაქტიკაში. ომებში მონაწილეობენ როგორც ადამიანები, ისე სხვადასხვა პლანეტაზე მცხოვრები არსებები. პერსონაჟებს აცვიათ ძალიან საინტერესო კოსტიუმები და აქვთ უცნაური იარაღები.

თ. მაინკრაფტი

კომპიუტერული თამაში, რომელშიც მთელი სამყარო კუბებისგან შედგება. კუბებისგან შედგება პერსონაჟები, მონსტრები, ცხოველები, მთები, ზღვები, ტბები, შენობები, იარაღები – ყველაფერი. ამ „კუბურ“ სამყაროში მოთამაშე ცხოვრობს, აშენებს, ეძებს, იბრძვის, სწავლობს, ყიდის და ყიდულობს.

ი. ველოსიპედი

[illegible]

დავალება 20. **უპასუხე შეკითხვებს:**

1. რას ნიშნავს სიტყვა „სამყარო“? განმარტე შენი სიტყვებით ან თქვი მშობლიურ ენაზე.
2. რა გაიგე ამ ფოტოებიდან ოგის სამყაროს შესახებ?
3. იცოდი, რა არის იქსბოქსი, ჰელოუინი, მაინკრაფტი და „ვარსკვლავური ომები“?
4. როგორ ფიქრობ, ყველა ბავშვის სამყარო ერთნაირია?
5. რა არის საერთო შენს სამყაროსა და ოგის სამყაროს შორის?
6. ველოსიპედსა და ნაყინზე ტექსტები კარგად არ ჩანს. როგორ ფიქრობ, რა წერია ამ ტექსტებში?

სავარჯიშოები 21–24 შეასრულე რვეულში.

დავალება 25. წაიკითხე ნაწყვეტი ჟაკლინ უილსონის წიგნიდან „ტრეისი ბიკერი. ჩემი თავგადასავალი“ და უპასუხე შეკითხვებს:



სახელი – ტრეისი ბიკერი

ასაკი – ათი წლის და ორი თვის

დაბადების თარიღი — 8 მაისი. ეს ძალიან დიდი უსამართლობაა, რადგან პიტერსაც ამ დღეს აქვს დაბადების დღე. ამიტომ ორივესთვის ერთი ტორტი მოაქვთ. რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ჩვენგანს მხოლოდ ნახევარი სურვილის ჩაფიქრება შეუძლია.

სიმაღლე და წონა – ზუსტად არ ვიცი

თვალის ფერი – შავი. ჯადოქარივით თვალები მაქვს. ძალიან მინდა, ჯადოქარი ვიყო. ათას საოცრებას დავატრიალებდი!



თმა – ქერა, გრძელი და ხვეული. არა, გატყუებთ! სინამდვილეში მუქი ფერის თმა მაქვს.

აქ შენი ფოტო ჩააწებე

ისევ ჩემ შესახებ

რა მიყვარს

ჩემი იღბლიანი რიცხვი – 7

საყვარელი ფერი – სისხლისფერი წითელი, ჰა-ჰა!

საყვარელი საჭმელი – ყველაფერი. თუმცა ყველაზე მეტად დაბადების დღის ტორტი მიყვარს. და, საერთოდ, ტორტები. კიდევ შოკოლადი, ჟელე, შემწვარი კარტოფილი...

საყვარელი სახელი – კამილა. ერთი პატარა გოგო ცხოვრობდა აქ, ბავშვთა სახლში და მისი სახელია. ძალიან საყვარელი ბავშვი იყო, ულამაზესი თმა ჰქონდა. არასოდეს ტიროდა.

საყვარელი თამაში – მაკიაჟით თამაში.

საყვარელი ცხოველი – იცით, აქ ერთი კურდღელი ცხოვრობს, კომბოსტოს ვეძახით. უკანა ფეხებზე ვერ დგება, მაგრამ ძაღლივით ალერსიანია. ისე კი, მინდა ძაღლი მყავდეს!

საყვარელი ტელეპროგრამა – საშინელებათა ფილმები

ყველაზე დიდი ოცნება – დედასთან ყოფნა

ახლა რა არ მიყვარს:

სახელები – ჯასტინი, ლუისი, პიტერი...

კერძი – ხორცის ჩაშუშული



ჩემი ნამდვილი ოჯახი

ჩააწებე შენი და შენი ოჯახის ფოტო

ეს მაშინაა გადაღებული, მე რომ პატარა ვიყავი. ნახეთ, რა საყვარელი ვარ! ეს ძალიან ლამაზი ქალი დედაჩემია. ოჰ, რა მშვენიერია!

ოჯახის წევრები – დედა. მამა არ მყავს.

ვინ მომწონს ოჯახში – დედა. იმიტომ, რომ ლამაზი და ხალისიანია და კიდევ ჩემთვის მშვენიერი საჩუქრები მოაქვს.

ჩემი სკოლა

ჩემს სკოლას კინგლის დაწყებითი სკოლა ჰქვია. აქამდე სამი სკოლა გამოვიცვალე და, მგონი, ეს ყველაზე უკეთესია.

ჩემს მასწავლებელს ქალბატონ ბრაუნს ვეძახით

რა საგნებს ვსწავლობ?

წერას, მათემატიკას, სპორტს, ხელოვნებას და კიდევ ბევრ რამეს. აგრეთვე პროექტებზე ვმუშაობთ.

ყველაზე მეტად წერა **მიყვარს**.

კიდევ ხელოვნების გაკვეთილი მიყვარს. იქ დიდ ფურცლებზე ვხატავთ. სკოლაში კარგი ფუნჯები გვაქვს.

სკოლაში დავდივარ სკოლის მიკროავტობუსით. ყველა ბავშვი ამ მიკროავტობუსით დადის.

რა არ მომწონს სკოლაში – ყველას ერთნაირი ნაცრისფერი ფორმა რომ აცვია.

ჩემი საკუთარი თავგადასავალი

აქ შენი თავგადასავალი დაწერე

ტრეისი ბიკერის თავგადასავალი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა გოგონა, რომელსაც სახელად ტრეისი ბიკერი ერქვა...

შეკითხვები:

1. როგორ ფიქრობ, ვინ არის ამ წიგნის მთავარი პერსონაჟი? რატომ ფიქრობ ასე?
2. როგორ ფიქრობ, ამ წიგნს მართლა 10 წლის ბავშვი წერს? რატომ ფიქრობ ასე?
3. ტრეისის აზრით, რა არის ძალიან დიდი უსამართლობა? რატომ?
4. როგორ ფიქრობ, მართალია, რომ ერთი ტორტით ორი ბავშვისთვის მარტო ნახევარი სურვილის ჩაფიქრება შეიძლება?
5. რა არის ტრეისის სიმაღლე და წონა? შენ თუ იცი შენი სიმაღლე და წონა?
6. რატომ უნდა ტრეისის ჯადოქრობა?
7. შენი აზრით, როგორი გოგონაა ტრეისი? რატომ ფიქრობ ასე?
8. რატომ უყვარს ტრეისის სახელი „კამილა“?
9. არის რამე, რაც შენ და ტრეისის ერთნაირად გიყვართ ან არ გიყვართ?
10. შენი აზრით, რატომაა გამუქებული ზოგიერთი სიტყვა ან წინადადება ტექსტში? რატომ აქვს ზოგს ჩარჩო?
11. შენი აზრით, როგორ გაგრძელდება ტრეისის თავგადასავალი?
12. ტრეისის „წიგნიდან“ აირჩიე სამი რუბრიკა (მაგალითად: ჩემი იღბლიანი რიცხვი, საყვარელი ფერი, საყვარელი საჭმელი, საყვარელი სახელი, საყვარელი თამაში, საყვარელი ცხოველი...) და უპასუხე შენ შესახებ.

26. კომპლექსური დავალება

შენ შენი სამყარო გაქვს, როგორც ოგის, როგორც ტრეისის და როგორც ყველა ბავშვს. გააკეთე პოსტერი სათაურით „ჩემი სამყარო“, ან პატარა წიგნაკი სათაურით „ჩემ შესახებ“.

პოსტერი შეგიძლია ასე გააკეთო:

- სამუშაო რვეულში, 36-37-ე გვერდებზე მოთავსებული მაკეტის მიხედვით დიდ თეთრ ფურცელზე ჩარჩოებში ჩახატე ან ჩააკარი ფოტოები და გაუკეთე პატარ-პატარა განმარტებები;
- პოსტერში მოათავსე ინფორმაცია შენი ოჯახის, საყვარელი კერძის, თამაშის, საგნის, დღესასწაულისა და ფილმის (სერიალის) შესახებ შესაბამისი სურათებით.

წიგნაკი შეიძლება ასე გააკეთო:

- აიღე სუფთა პატარა რვეული.
- ხელახლა წაიკითხე ტრეისის რუბრიკები და ამოარჩიე რამდენიმე.
- გადაწერე რვეულში რუბრიკები და დატოვე ადგილი შენი პასუხისთვის.
- უპასუხე რუბრიკას და გაუკეთე რაიმე საინტერესო ან სასაცილო კომენტარი.
- წიგნაკი გააფორმე შენი ნახატებით.
- არ დაგავიწყდეს, რომ სათაურები და რუბრიკები უნდა დაწერო უფრო დიდი ან უფრო მუქი შრიფტით.

მუშაობის დაწყებამდე

- ჯერ გააკეთე მაკეტი.
- წინასწარ მონიშნე, სად რას დახატავ და სად რას დაწერ. განმარტება უნდა იყოს შესაბამისი ნახატის (ფოტოს) ქვეშ;
- მოიფიქრე, რა ზომის შრიფტით დაწერ სათაურებს და განმარტების ტექსტს.

წარდგენისას

- ისაუბრე ყველაფერზე, რაც პოსტერსა ან წიგნაკში გიწერია;
- ისაუბრე, როგორ შეასრულე სამუშაო: რა გააკეთე თავიდან, რა შემდეგ და რა – ბოლოს;
- ისაუბრე, საინტერესო იყო თუ არა შენთვის ეს დავალება. რატომ?